საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-77

18/01/2021

ქ. თბილისი

ახალციხის მუნიციპალიტეტში, სსიპ სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიაზე ტერიტორიული ორგანოს - ახალციხის ზონალური დიაგნოსტიკური ლაბორატორიის ნარჩენების ინსინერაციისათვის განკუთვნილი მინი ინსინერატორის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის, ამავე კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილისა და ამავე კოდექსის I დანართის მე-16 პუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს ახალციხის მუნიციპალიტეტში, სსიპ სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიაზე ტერიტორიული ორგანოს - ახალციხის ზონალური დიაგნოსტიკური ლაბორატორიის ნარჩენების ინსინერაციისათვის განკუთვნილი მინი ინსინერატორის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების პროექტზე სკოპინგის დასკვნა N3 (12.01.2021);
2. სსიპ „სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორია“ ვალდებულია გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N3 (12.01.2021) სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სსიპ „სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიას“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს სსიპ „სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკოპინგის დასკვნის გაცემიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი